წარმატებული eTwinning პრაქტიკა

მოამზადა ნინო ხახიაშვილი

საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტი **Cultural and Natural Explorers („კულტურისა და ბუნების მკვლევარები“) ** განხორციელდა მრავალეროვნული პარტნიორობის ფარგლებში და აერთიანებდა თურქეთის, ჩრდილოეთ მაკედონიის, საბერძნეთის, ხორვატიისა და საქართველოს სკოლებს. პროექტის მიზანი იყო მოსწავლეებში კულტურული მრავალფეროვნებისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის მიმართ ინტერესისა და პატივისცემის გაძლიერება, საერთაშორისო თანამშრომლობის, კვლევითი, კომუნიკაციური და ციფრული უნარების განვითარება. პროექტში ჩართული 10 მასწავლებლისა და 48 მოსწავლის მონაწილეობით განხორციელდა მოსწავლეზე ორიენტირებული, თანამშრომლობითი და პროექტზე დაფუძნებული აქტივობები, რომლებიც მოიცავდა დამოუკიდებელ კვლევას, ჯგუფურ მუშაობას, საერთაშორისო პრეზენტაციებსა და ციფრული პროდუქტების შექმნას. პროექტი ინტეგრირებული იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და სხვადასხვა საგნობრივ სფეროსთან, დასრულდა მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროდუქტებით (ელექტრონული წიგნი, ბროშურა, პრეზენტაციები) და წარმოაჩინა eTwinning-ის პლატფორმის ეფექტური გამოყენება როგორც საერთაშორისო სწავლების და კულტურათშორისი კომუნიკაციის სივრცე.

პროექტის სრული სახელწოდება - Cultural and Natural Explorers

(„კულტურისა და ბუნების მკვლევარები“)

ჩართული ქვეყნები და პარტნიორი სკოლები;

- 🇹🇷 თურქეთი - ვიზე ათათურქის საშუალო სკოლა
- 🇹🇷 თურქეთი - ქუქურთის დაწყებითის სკოლა
- 🇹🇷 თურქეთი - ჩოღლუ შაჰით იშაქ სააღლამოღლის დაწყებითი სკოლა
- 🇲🇰 ჩრდილოეთ მაკედონია - ვანჩო ნიკოლესკის დაწყებითი სკოლა
- 🇬🇷 საბერძნეთი - გონის დაწყებითი სკოლა
- 🇭🇷 ხორვატია - ლასლოვოს დაწყებითი სკოლა
- 🇬🇪 საქართველო - ბესარიონ კივილაძისა და ალექსანდრე თანდაშვილის სახელობის თბილისის 32-ე საჯარო სკოლა
- 🇬🇪 საქართველო - დიმიტრი უზნაძის სახელობის თბილისის 22-ე საჯარო სკოლა
- 🇬🇪 საქართველო - სსიპ ქალაქ ზესტაფონის №3 საჯარო სკოლა

მონაწილე მოსწავლეები და მასწავლებლები (რაოდენობა და მონაწილეობის ფორმა);

პროექტის განმავლობაში ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ მოსწავლეზე ორიენტირებული და თანამშრომლობითი სწავლების ხელშეწყობაზე. გამოვიყენეთ სხვადასხვა პედაგოგიური მიდგომა, მათ შორის მცირე ჯგუფური მუშაობა, დამოუკიდებელი კვლევა, თანატოლთა სწავლება და პროექტებზე დაფუძნებული სწავლება. მაგალითად, მოსწავლეები ჯგუფურად მუშაობდნენ საკუთარი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შესასწავლად, რომელსაც შემდეგ თანატოლებს წარუდგენდნენ. მათ ჩაატარეს დამოუკიდებელი კვლევა იუნესკოს მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ ინფორმაციული სტატიების დასაწერად და მოამზადეს პრეზენტაციები თავიანთი ქვეყნების შესახებ. ამ პროექტში ჩართული იყო 10 მასწავლებელი და 48 მოსწავლე.

პროექტის მიზნები, მოსალოდნელი შედეგები;

პროექტი „კულტურისა და ბუნების მკვლევარები“ შექმნილია მრავალფეროვანი კულტურისა და ბუნებრივი სამყაროს შესასწავლად და მის მეტად დასაფასებლად. საინტერესო აქტივობების მეშვეობით, მოსწავლეებმა შეისწავლეს კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობა, გაიგეს მსოფლიოს სხვადასხვა ტრადიციების, კულტურული პრაქტიკისა და ბუნებრივი სილამაზის შესახებ. პროექტის ძირითადი კომპონენტია მოსწავლეების თანამშრომლობა და კომუნიკაცია საერთაშორისო თანატოლებთან, რაც მათ მნიშვნელოვან კულტურათშორის უნარებს განუვითარებს. ეს პრაქტიკული გამოცდილება მათ შესძენს 21-ე საუკუნის აუცილებელ კომპეტენციებს, ამავდროულად, განუვითარებს თანაგრძნობის, მოქალაქეობის, პასუხისმგებლობისა და პატივისცემის ძლიერ გრძნობას. საბოლოო ჯამში, ამ პროექტის მიზანი იყო მოსწავლეთა საერთო კეთილდღეობის გაუმჯობესება სკოლის გარემოსა და მის გარეთ.

პროექტის კავშირები ეროვნულ სასწავლო გეგმასთან / საგნობრივ სტანდარტებთან;

პროექტი აერთიანებდა მრავალ საგნობრივ სფეროს, მათ შორის ინგლისურ ენას, კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, მოქალაქეობას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, ხელოვნებას, საზოგადოებრივ მეცნიერებებს და დაწყებითი სკოლის საგნებს. სასწავლო გეგმის შესაბამისობის თვალსაზრისით, პროექტი მჭიდრო კავშირში იყო ჩვენს ეროვნულ საგანმანათლებლო მიზნებთან. კომპიუტერულ ტექნოლოგიებში მოსწავლეებმა ისწავლეს დამოუკიდებლად მუშაობა საძიებო სისტემების გამოყენებით, ინფორმაციის შეგროვება და გაზიარება ონლაინ რეჟიმში, ასევე ციფრულ სივრცეებში თანამშრომლობა და სხვადასხვა ვებ ინსტრუმენტების გამოყენება. ამან საშუალება მოგვცა, გამოგვეყენებინა მულტიდისციპლინური მიდგომა, რომელიც აერთიანებდა ცოდნასა და უნარებს სხვადასხვა სფეროდან. მაგალითად, დედამიწის დღის აღნიშვნისას, მოსწავლეებმა შეისწავლეს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები/მოქალაქეობა), ხოლო კულტურული მრავალფეროვნების შესახებ დავალებების შესრულებისას, მათ გაიუმჯობესეს გეოგრაფიული და ისტორიული ცოდნა (საზოგადოებრივი მეცნიერებები). და რაც ყველაზე მთავარია, მოსწავლეებმა გაიუმჯობესეს ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარ-ჩვევები.

აღწერა განხორციელებული აქტივობების

პროექტი 25 თებერვალს დავიწყეთ პროექტში მონაწილე მასწავლებლების ონლაინ შეხვედრით. როგორც პროექტის ავტორმა, გავაცანი პროექტის აქტივობები და შესასრულებელი დავალებებიც გავინაწილეთ. პირველ რიგში, წარვადგინეთ საკუთარი თავი ავატარებით და გავუზიარეთ ჩვენი სკოლების შესახებ ინფორმაცია. მარტში ჩავატარეთ წინასწარი გამოკითხვები მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის, შევარჩიეთ პროექტის ლოგო და შევქმენით სიტყვების ღრუბლები. მოსწავლეებმა შეისწავლეს პროექტში მონაწილეთა ქვეყნები და ატვირთეს პრეზენტაციები პადლეტზე. ამ პრეზენტაციებიდან ერთობლივად შევქმენით კროსვორდი, რომელიც ჩვენმა მოსწავლეებმა შეავსეს. აპრილში ჩავატარეთ სამი აქტივობა: ბუნებაში გასეირნება და დაკვირვება, დედამიწის დღისთვის მოსწავლეებმა სხვადასხვა აქტივობები განახორციელეს, მათ შორის იყო დასუფთავების აქტივობაც. მაისში აღვნიშნეთ eTwinning-ის დღე და აღნიშნული ქტივობები ავტვირთეთ Linoit-ზე. 2025 წლის 14 მაისს ჩავატარეთ მოსწავლეთა შეხვედრა. შეხვედრის დროს მათ მოკლედ წარადგინეს თავიანთი სკოლა და ქვეყანა, რის შემდეგაც, ჯგუფურად, სკოლების მიხედვით, ითამაშეს ვიქტორინა Quiziz-ში - უპასუხეს კითხვებს პარტნიორი სკოლების ქვეყნების შესახებ (ტრადიციების, საჭმლის, სამოსის, ცეკვის, ღირსშესანიშნაობებისა და სხვა). 18 მაისს, მუზეუმების საერთაშორისო დღეს ვესტუმრეთ ახლო მდებარე მუზეუმებს ჩვენს მოსწავლეებთან ერთად, რის შემდეგაც შევქმენით ერთობლივი პროდუქტის ელექტრონული ბროშურა. კულტურული მრავალფეროვნების დღისთვის, მოსწავლეებმა შეისწავლეს მათ ქვეყანაში მდებარე იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის

ძეგლები და დაწერეს სტატიები ამ ადგილების შესახებ. საბოლოოდ, ამ სტატიებიდან შევქმენით ელექტრონული წიგნი.

მიღწეული შედეგები – პროდუქტები, პრეზენტაციები, საერთაშორისო თანამშრომლობა და ნებისმიერი განსაკუთრებული წარმატება;

პროექტის მიზნებს მივაღწიეთ მოსწავლეებისთვის კარგად დაგეგმილ, ინტერაქტიულ და თანამშრომლობით აქტივობებში ჩართვით. თავიდანვე წავახალისეთ მოსწავლეების მონაწილეობა შემოქმედებითი წარდგენების, ლოგოს შექმნისა და საერთაშორისო პრეზენტაციების გზით. ყოველი თვე ფოკუსირებული იყო კონკრეტულ მიზნებზე, როგორიცაა გარემოსდაცვითი ცნობიერება, კულტურული კვლევა ან ციფრული პროდუქტის შექმნა. დამოუკიდებელი კვლევის, ჯგუფური მუშაობისა და ციფრული ინსტრუმენტების კომბინაციით, ჩვენ ვუზრუნველვყავით მოსწავლეების აქტიური ჩართულობა, უნარების განვითარება და შინაარსიანი სწავლა. პროექტის ამოცანების ინტეგრაცია ისეთ საგნებში, როგორიცაა ინგლისური, კომპიუტერული ტექნოლოგიები, გეოგრაფია და მოქალაქეობა, დაგვეხმარა როგორც პროექტის, ასევე სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევაში.

პროექტი შევაფასეთ როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის წინასწარი, ასევე პროექტის შემდგომი გამოკითხვების გამოყენებით, რათა გაგვეზომა პროგრესი უნარების, ცოდნისა და ჩართულობის მხრივ. მოსწავლეების წვლილი თანამშრომლობით პროდუქტებში (მაგ., პრეზენტაციები, ვიქტორინები, ელექტრონული ბუკლეტი, ელექტრონული ბროშურა, ელექტრონული წიგნი) სწავლის პრაქტიკულ მტკიცებულებად იქცა. ასევე გამოვიყენეთ შუალედური შეფასება მოსწავლეებისა და მასწავლებლების მონაწილეობისა და ჯგუფური თანამშრომლობის ეფექტურობის შესაფასებლად. ისეთი შედეგები, როგორიცაა ელექტრონული ბუკლეტი, ელექტრონული ბროშურა და ელექტრონული წიგნი, ასახავდა სასწავლო მიზნების მიღწევას. პროექტის დასასრულს, მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმა პროექტი Padlet-ის საშუალებით შეაფასეს.

პროექტის პროგრესი და შედეგები ჩვენი TwinSpace-ის საშუალებით გავაზიარეთ, სადაც ყველა პარტნიორმა ატვირთა თავისი აქტივობები და საბოლოო პროდუქტები. ასევე გამოვიყენეთ Linoit ჩვენი eTwinning-ის დღის ღონისძიებების წარმოსაჩენად და ციფრული პლატფორმები ელექტრონული წიგნის, ლოგოს და სხვა ერთობლივი ნამუშევრების საჩვენებლად. პროექტის შედეგები, მათ შორის ადგილობრივი მუზეუმის მონახულება და მოსწავლეთა შეხვედრა, ასევე გაზიარდა სკოლის საზოგადოებასთან და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან.

პროექტის ალტერნატიული ვარიაციები – საკლასო და სასკოლო ქსელის დონეზე

(იმ შემთხვევისთვის, თუ მასწავლებელი არ არის პროგრამაში ჩართული, მაგრამ სურს პროექტის განხორციელება ადაპტირებული ფორმით)

თემა	**იდეა (მოკლე აღწერა)**	**საკლასო ვერსია**	**სკოლებს შორის კოლაბორაციის ვერსია**
კულტურული მემკვიდრეობა	მოსწავლეები იკვლევენ საკუთარი რეგიონის კულტურულ ძეგლებს	ერთი კულტურული ობიექტის კვლევა და პრეზენტაცია	სკოლები ერთმანეთს აცნობენ თავიანთ კულტურულ მემკვიდრეობას
ბუნებრივი გარემო	ბუნებრივი ლანდშაფტებისა და ბიომრავალფეროვნების შესწავლა	ბუნებაში გასეირნება, დაკვირვება, ჩანაწერები	სკოლები ადარებენ ბუნებრივ გარემოს და ქმნიან საერთო რუკას

იუნესკოს მემკვიდრეობა	მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების გაცნობა	ერთი ძეგლის კვლევა და პოსტერის შექმნა	ერთობლივი ციფრული ბუკლეტის შექმნა
გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა	ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე	კლასში დისკუსია და მცირე ეკო-აქცია	სკოლებს შორის ერთობლივი გარემოსდაცვითი კამპანია
კულტურათშორისი დიალოგი	ტრადიციების, დღესასწაულებისა და ჩვევების შედარება	კლასში პრეზენტაციები „ჩვენი ტრადიციები“	ონლაინ შეხვედრა პარტნიორ სკოლებთან
ციფრული კვლევა	ინფორმაციის მოძიება და დამუშავება	საძიებო სისტემებით კვლევა და პრეზენტაცია	საერთო Padlet ან ბლოგზე მასალების გაზიარება
მუზეუმები და ისტორია	მუზეუმების როლი კულტურის დაცვაში	ადგილობრივი მუზეუმის მონახულება	ვირტუალური მუზეუმების ერთობლივი ტური
შემოქმედებითი პროდუქტი	კულტურისა და ბუნების ვიზუალიზაცია	ნახატები, კოლაჟები, ფოტოები	ერთობლივი ონლაინ გამოფენა
ენობრივი უნარები	კულტურის აღწერა უცხო ენაზე	მოკლე ტექსტების/პრეზენტაციების მომზადება	საერთაშორისო პრეზენტაციები ინგლისურ ენაზე
რეფლექსია და შეფასება	მიღებული გამოცდილების გააზრება	თვითრეფლექსიის წერილი ან კითხვარი	ერთობლივი ონლაინ რეფლექსია და გამოცდილების გაზიარება

დამადასტურებელი ვიზუალური მასალა – ფოტოები, ვიდეოები, ბმულები, რესურსები და პროექტის მიერ შექმნილი პროდუქტები.

პროექტის შესახებ პრეზენტაცია
მშობელთა თანხმობის ფორმები
ციფრული ინსტრუმენტები და აპლიკაციები
ჩვენი საკომუნიკაციო ჰაბი
ონლაინ შეხვედრები

ონლაინ მიმოწერა
დისკუსია ფორუმზე
გამარჯვებული ლოგო
სიტყვის ღრუბელი
პროექტის აქტივობები
პრეზენტაციები მონაწილე ქვეყნებზე
კროსვორდი ფაზლი
ჩვენი საერთო პროდუქტი - ბუნებაში გასეირნება - ვიდეო
დედამიწის დღე - ბროშურა
დედამიწის დღე - სკოლის ეზოს დასუფთავება
9 მაისი - ითვინინგის დღე
ბროშურა
ელექტრონული წიგნი
პროექტის ვირტუალური ტური